მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში

კვლევის ანგარიში

თბილისი, საქართველო

მომზადებულია:

სსიპ ვახტანგ გზირიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №173 საჯარო სკოლის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ჯგუფის მიერ

<u>მადლობა</u>

მკვლევართა გუნდი მადლობას უცხადებს თანამშრომლობისა და თანადგომისათვის ყველა მონაწილეს, ვინც გამონახა დრო და დაგვთანხმდა კვლევაში მონაწილეობაზე, რამაც შესაძლებელი გახადა ამ კვლევის ჩატარება.

სარჩევი

შესავალი----------3

თავი I. სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის შესახებ არსებული სხვადასხვა შეხედულებები ----------3

თავი II. ინფორმაცია სკოლის შესახებ, კვლევის მიზანი და ამოცანები**4**

თავი III. ინფორმაცია კვლევის მეთოდოლოგიის, ვადების შესახებ5

თავი IV. კვლევის შედეგების ანალიზი5

1. მშობელთა ანკეტირების სტატისტიკური ანალიზი----------5
2. დასკვნები----------20
3. რეკომენდაციები----------22
4. მოსწავლეთა ანკეტირება(V კლასი)----------24
5. მოსწავლეთა ანკეტირება(IX კლასი)----------27
6. მოსწავლეთა ანკეტირება(X კლასი)----------31
7. მოსწავლეთა ანკეტირება(V,IX,X კლასები)----------36
8. დასკვნები----------40
9. რეკომენდაციები----------43
10. თვისობრივი კვლევის შედეგები – ფოკუს-ჯგუფები პედაგოგებთან----------44
11. დასკვნები----------47
12. რეკომენდაციები----------47

მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში

შესავალი

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია სსიპ ვახტანგ გზირიშვილის სახელობის თბილისის 173-ე საჯარო სკოლის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროექტის ფარგლებში შექმნილი ჯგუფის- „შვიდკაცას" მიერ განხორციელებული კვლევის - მშობელთა ჩართულობა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში - ანგარიში. **(ჯგუფის წევრები: ნინო ნიქაცაძე, მარიკა ყაზარაშვილი, რუსუსუდან კეკელიძე, ხათუნა აქიაშვილი, ირმა ქურციკიძე, ლია გელოვანი,**

ნაშრომი შედგება 4 თავისაგან. I თავი ეხება სასკოლო ცხოვრებაში მშობლის ჩართულობის შესახებ არსებულ სხვადასხვა შეხედულებას; II თავში მოცემულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, კვლევის მიზანი და ამოცანები; III თავში წარმოდგენილია ინფორმაცია კვლევის მეთოდოლოგიის, ვადების შესახებ; IV თავში წარმოდგენილია კვლევის შედეგების ანალიზი; აქვე მოცემულია დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც ეფუძნება კვლევის შედეგებს.

თავი 1

საყოველთაოდ აღიარებული მოსაზრების მიხედვით, ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარებაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენენ სკოლა და ოჯახი. ძალიან მნიშვნელოვანია ორივე რგოლის ჩართვა მოსწავლის განვითარებაში, თანაც ისე, რომ ორივე აცნობიერებდეს ამ მნიშვნელობას და თავის როლს.

მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, მშობლის ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში, მეორე მხრივ, მოსწავლეთათვის სასკოლო დავალებების შესასრულებლად და სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აქტივობებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად ხელშეწყობა.

როგორც მიუთითებენ, მშობელთა ჩართულობის საკითხი საქართველოში ნაკლებად არის გამოკვლეული. რეკომენდაციები მშობელთა ჩართულობის შესახებ მხოლოდ უცხოურ კვლევებსა და გამოცდილებას ეყრდნობა. კვლევების მიხედვით, ბავშვის ადრეულ ასაკში მშობელთა ჩართულობა მნიშვნელოვნად უკავშირდება მოსწავლის კოგნიტურ-ემოციურ განვითარებას. ის, თუ რას აკეთებენ მშობლები, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, თუ რა განათლება და გამოცდილება აქვთ მათ. მაგალითად, მშობელთა მიერ სახლში განხორციელებული აქტივობები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათი შემოსავალი, პროფესია და განათლება (ირ. აბულაძე).

უკვე არსებული კვლევების თანახმად, რაც უფრო მეტადაა ჩართული მშობელი შვილის სწავლების პროცესში, მით უფრო მაღალია მოსწავლის მიღწევების დონე, იზრდება მოსწავლის მოტივაცია, ბავშვს უყალიბდება სკოლისადმი პოზიტიური დამოკიდებულება, იზრდება სასკოლო გეგმაში დასახული მიზნების შესრულების ხარისხი, უმჯობესდება დისციპლინა, იზრდება სკოლისა და მასწავლებლის ავტორიტეტი.

მოსწავლის მიღწევების გაუმჯობესებაზე პასუხისმგებლობა მხოლოდ სკოლას არ ეკისრება. მნიშვნელოვანია მშობელთა აქტიური ჩართულობა, მაღალი მოლოდინების ქონა შვილის მოსალოდნელი მიღწევებისადმი. წარმატებული სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი - მშობელსა და სკოლას შორის დამყარებული კეთილგანწყობაა. ***(წარმატებული სკოლის სტანდარტი----სტანდარტი 5. მოსწავლის, ოჯახისა და საზოგადოების ჩართულობა და მხარდაჭერა--- 5.2, 5.5, 5.6, 5.7)***

მიუხედავადიმისა, რომ თავად მშობლებიც აცნობიერებენ მათი ჩართულობის დიდ მნიშვნელობას, სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის გამო რთული ხდება სასკოლო ცხოვრებაში მათი ჩართვა:

1) ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება დავასახელოთ ის გარემოება, რომ მშობლები დასაქმებულნი არიან და ცოტა დრო რჩებათ შვილის სასკოლო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის, ბევრი მშობელი საზღვარგარეთ არის წასული და ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გამო მოსწავლის განათლების პროცესი მეორეხარისხოვანი ხდება;

2) გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მშობელთა ნაწილს სრულფასოვნად არ აქვს გააზრებული განათლების რეფორმის ძირითადი მიზნები, არ აინტერესებთ სასკოლო პრობლემები და ამოცანები, ან თუნდაც წარმატებები. ***(წარმატებული სკოლის სტანდარტი---სტანდარტი 6. პროფესიული განვითარება---6.1)*** .

3). ასაკის მატებასთან ერთად სულ უფრო მცირდება იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებსაც სიამოვნებთ, როცა მშობელი მონაწილეობს სასკოლო ღონისძიებებში. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი მშობელთა ჩართულობის ნაკლებობისა სასკოლო ღონისძიებებში. ასეთი ტენდენცია შეინიშნება მაღალი კლასის მოსწავლეებში.

<u>თავი 2</u>

173-ე საჯარო სკოლა თავისი არსებობის ----წელს ითვლის, სკოლაში ------ მოსწავლე და ------- მასწავლებელია. აქედან, ------ სერთიფიცირებული, 4 მენტორი. მასწავლებელთა აბსოლუტური უმრავლესობა სრულ განაკვეთზე (18 და მეტი კვ. საათი) მუშაობს.
სკოლის საქმიანობაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ მშობელთა ჩართულობა სკოლის ცხოვრებაში ნაკლებია. აღნიშნული პრობლემის მოგვარების ხელშეწყობის მიზნით პროფესიული განვითარების ჯგუფმა ჩაატარა პედაგოგიური კვლევა.

კვლევის მიზანი და ამოცანები: მშობელთა ჩართულობის ნაკლებობის მიზეზების დადგენა და შემდგომი რეკომენდაციების შემუშავება პრობლემის დაძლევისათვის; კვლევაში ყველა საფეხურის მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლების მონაწილეობა პრობლემის შეფასების მიზნით; მშობელთა ჩართულობის დონის მაჩვენებლის განსაზღვრა.

თავი 3

საპილოტე კვლევა ჩატარდა სწავლების სამივე საფეხურზე, კერძოდ, **I**[4] (დამ. ლ. გელოვანი), **V**[-4] **(დამ. ნ. ნიქაცაძე), IX**[3] (დამ. ირ. ქურციკიძე), **X**[3] (დამ. ხ. აქიაშვილი) კლასების 68 მშობელი, აქედან: 1-ლი კლასის 21, მე-5 კლასის 20, მე-9 კლასის 17, მე-10 კლასის 20 მშობელი. მოსწავლეთა ანკეტირებაში მონაწილეობდა ასევე 68 მოსწავლე: მე-5 კლასის 24 მოსწავლე, IX კლასის 21 და X კლასის 23 მოსწავლე. ფოკუს-ჯგუფი პედაგოგებთან - 6 პედაგოგი.
კვლევის მეთოდები: ანკეტირება მშობლებთან და მოსწავლეებთან, ფოკუს-ჯგუფები პედაგოგებთან.
კვლევა ჩატარდა -----დან ----- მდე.

კვლევა ჩატარდა სწავლების სხვადასხვა საფეხურზე: დაწყებითი, საბაზო და საშუალო. მასში მონაწილეობა მიიღეს მოსწავლეებმა, მშობლებმა და მასწავლებლებმა. რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტარში (ანონიმური ანკეტირება მშობლებთან და მოსწავლეებთან) გამოყენებული იქნა როგორც დახურული, ასევე ღია კითხვები, ანუ კონკრეტული მაგალითების მოთხოვნა (აქტიურად ვარ ჩართული სკოლის ცხოვრებაში, რადგან...), რაც იძლევა გამოკითხულთა მიერ გაკეთებული შეფასებების დაზუსტების საშუალებას. კვლევის შედეგების სანდოობის გაზრდისა და საკითხის სიღრმისეული შესწავლის მიზნით რაოდენობრივი კვლევა შევავსეთ თვისობრივი კვლევით.

მშობელთა ანკეტირების სტატისტიკური ანალიზი:

სულ გამოიკითხა სამივე საფეხურის მოსწავლეთა 78 მშობელი: I კლასის მოსწავლეთა 21 მშობელი, V კლასის მოსწავლეთა 20მშობელი, IX კლასის მოსწავლეთა 17 მშობელი, X კლასის მოსწავლეთა 20 მშობელი.



როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, გამოკითხულ მშობელთა 31% თვეში ერთხელ და ასევე 31% ყოველდღე დადის სკოლაში. ეს უკანასკნელნი დაწყებითი კლასების მშობლები არიან. 22% --- სემესტრში ერთხელ დადის, 14% --- კვირაში ერთხელ, ხოლო მშობლების 1% მხოლოდ წელიწადში ერთხელ ცხადდება შვილის სასკოლო ცხოვრების გასაცნობად. ***ეს ციფრები მიუთითებს მშობელთა სკოლაში გამოცხადების ინტენსივობის საშუალოზე დაბალ მაჩვენებელზე.***



გამოკითხულ მშობელთა 65% საკუთარი ინიციატივით დადის სკოლაში, 21%---დამრიგებლის ინიციატივით, 12%----როგორც საკუთარი, ასევე დამრიგებლის ინიციატივით, ხოლო

1%---მხოლოდ დირექციის მოთხოვნის შემთხვევაში. ***გამოკითხულთა 65% -ის დიდ ნაწილს დაწყებითი კლასის მოსწავლეთა მშობლები შეადგენენ, რაც იმ ფაქტზე მიუთითებს, რომ მშობლები აქტიურად და რეგულარულად არ დადიან სკოლაში შვილების აკადემიური მოსწრებისა და სასკოლო ცხოვრების კონტროლის მიზნით.***



როგორც ირკვევა, გამოკითხულთა 64 % მშობელთა კრებებზე დადის, 19%--მშობელთა კრებაზე და ექსკურსიაზე, 12%---მშობელთა კრებაზე, კლასის ღონისძიებაზე და ექსკურსიაზე, 3%---მხოლოდ ექსკურსიაზე და 3%-ს შეადგენს მშობელთა ის რაოდენობა, რომელიც კრებაზეც დადის, ექსკურსიაზეც , საკლასო და სასკოლო ღონისძიებებზეც, ***ანუ მშობელთა მხოლოდ 3%-ა შედარებით სრულად ჩართული სასკოლო ცხოვრებაში, რაც ძალიან დაბალი და ყურადსაღები მაჩვენებელია.***



კითხვაზე, თუ რამდენად მისაღებია სკოლაში შექმნილი გარემო, აზრი ორად გაიყო: რესპოდენტთა 73% -მა უპასუხა, რომ მათთვის სრულიად მისაღებია, მაშინ, როცა 27%-ის აზრით ნაწილობრივ არის მისაღები. იმის გათვალისწინებით, რომ სასკოლო ცხოვრება მუდმივად მზარდი, განვითარებადი პროცესია და მოითხოვს სრულყოფას, ეს მაჩვენებელი (73%) შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, ***რომ მშობელთა საკმაოდ დიდი ნაწილი ინდიფერენტულია სკოლაში მიმდინარე პროცესების მიმართ, ნაკლებად არის დაინტერესებული სკოლაში შექმნილი გარემოს გაუმჯობესებით, რაც მათი სკოლის ცხოვრებაში ნაკლებად ჩართულობაზე მეტყველებს.***



მშობელთა 94% ამბობს, რომ სისტემატურად აკონტროლებს და კარგად იცნობს შვილის აკადემიურ მოსწრებას, 5% კი ინფორმაციას სემესტრის ბოლოს იგებს, ხოლო მშობელი, რომელიც არ ეცნობა შვილის აკადემიურ მოსწრებას, ასეთი არ აღმოჩნდა.

კარგი იქნება, თუ მშობლები გაითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ, როდესაც მშობელი ჩართულია შვილის განათლების პროცესში, მოსწავლეს უფრო მაღალი აკადემიური მიღწევები და მეტი წარმატებები აქვს.



მშობელთა თითქმის ნახევარი---49%---დამრიგებლის მეშვეობით ეცნობა შვილის აკადემიურ მოსწრებას, 22%--დამრიგებლისა და შვილის მეშვეობით, 17%---შვილის მეშვეობით, 4%--დამოუკიდებლად სკოლაში ვიზიტის დროს, 3%--დამრიგებლისა და საგნის მასწავლებლის, კიდევ 3%---დამრიგებლის, შვილის მეშვეობით და სკოლაში ვიზიტის დროს, 1%---საგნის მასწავლებლის და კიდევ 1%---დამრიგებლის, საგნის მასწავლებლისა და შვილის მეშვეობით. ***როგორც აღმოჩნდა, მშობლები ძირითადად დამრიგებლის მეშვეობით ეცნობიან შვილის აკადემიურ მოსწრებას, თუმცა, ბევრი მშობელი სხვადასხვა გზებით ახერხებს ინფორმაციის მიღებას. მშობელთა მხოლოდ 3% დადის საკუთარი ინიციატივით სკოლაში, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია.***



გამოკითხულ მშობელთა სამი მეოთხედი (75%) აცხადებს, რომ შვილის სწავლის ხარისხს აკონტროლებს ყოველდღიურად, 18% ---კვირაში ერთხელ, 3%---თვეში ერთხელ, 1%----სემესტრში ერთხელ, ხოლო 3% საერთოდ არ აკონტროლებს. ***გამოკითხულთა 75%-ის დიდ ნაწილს დაწყებითი კლასის მოსწავლეთა მშობლები შეადგენენ. როდესაც მშობელი გულისყურით ეკიდება შვილის სწავლა-განათლების საკითხს სწავლის ყველა ეტაპზე, უმჯობესდება ასეთი მოსწავლის აკადემიური მოსწრება და ცოდნის დონე.***



მშობლების ნახევარზე მეტი--64%-- აკონტროლებს შვილის მზაობას სკოლისათვის, რაც გულისხმობს გაკვეთილის მომზადებაში დახმარებას, დავალების შესრულებას და ა.შ. 13%--შეძლებისდაგვარად აკონტროლებს, 21%-მა უპასუხა, რომ აკონტროლებს, მაგრამ არ აკონკრეტებს, როგორ ეხმარება, შემოიფარგლა ზოგადი პასუხით, 1% აკონტროლებს ტელეფონით, ხოლო 1%-მა კითხვას თავი აარიდა. ***გამოკითხულთა 1%-ის გარდა ყველა მშობელი მეტ-ნაკლებად აკონტროლებს შვილის მზაობას სკოლისათვის სხვადასხვა გზებითა და საშუალებებით. ეს ფაქტი პირდაპირ აისახება მოსწავლეზე მაღალი აკადემიური შეფასებებით, გაკვეთილებზე დასწრების მაჩვენებლით, შესრულებული საშინაო დავალებებით და ა.შ.***



გამოკითხულთა უმრავლესობა თვლის, რომ როცა შვილის შესახებ იღებს ინფორმაციას, იქცევა სიტუაციის შესაბამისად, 14% ამ ინფორმაციას ოჯახში განიხილავს, 8%-მა ამ კითხვას არ უპასუხა. ***მშობელი, რომელიც აქტიურად არის ჩართული შვილის სასკოლო ცხოვრებაში, აქვს პოზიტიური დამოკიდებულება მასწავლებლების მიმართ, დროულად იღებს ინფორმაციას ბავშვის მდგომარეობის შესახებ და აგვარებს პრობლემას.***



დავინტერესდით გაგვერკვია,იცნობენ თუ არა მშობლები რა მოთხოვნები აქვთ მათი შვილების მიმართ მასწავლებლებს ესგ-ის და საგნის სტანდარტიდან გამომდინარე. როგორც გაირკვა, მშობელთა დიდი ნაწილი--79%-- იცნობს, 14%---ნაწილობრივ იცნობს, 4%---არ იცნობს, 3%-მა კითხვას არ უპასუხა. ***მშობლები აღნიშნულ ინფორმაციას იღებენ მასწავლებლებისაგან მშობელთა კრებებზე ან ინდივიდუალური შეხვედრების დროს, სკოლის ცხოვრებითა და საკუთარი შვილის სწავლა-განათლებით დაინტერესებული მშობელი უფრო მეტ ინფორმაციას მიიღებს, თუ გაეცნობა განათლების სამინისტროს საიტზე გამოქვეყნებულ ეროვნულ სასწავლო გეგმას.***



როგორც კვლევამ გვიჩვენა,გამოკითხულ მშობელთა 90% იცნობს შეფასების სისტემას, ხოლო 8% ნაწილობრივ იცნობს ,როგორ ფასდება მოსწავლე, 2%-მა კითხვაზე პასუხის გაცემისაგან თავი შეიკავა. ***თანამედროვე შეფასების სისტემა ძალიან მრავალფეროვანი და რთული ინსტრუმენტია, აქედან გამომდინარე, გამოკითხულთა 90%(დანარჩენ 10%-ზე რომ არაფერი ვთქვათ) საჭვოა მას სიღრმისეულად და სრულყოფილად იცნობდეს. გამოსავალი ისევ და ისევ მშობელსა და მასწავლებელს შორის მჭიდრო თანამშრომლობაა.***



კვლევა ასევე დაინტერესდა დაგვეზუსტებინა, თუ როგორ აფასებენ მშობლები სკოლაში შექმნილ სიტუაციას, რის შეცვლას ისურვებდნენ, რა არ აკმაყოფილებთ საწავლო პროცესში. შედეგად გამოვლინდა, რომ მშობელთა 42% სკოლაში შექმნილ სიტუაციას დადებითად აფასებს და კმაყოფილია სასწავლო პროცესით, 38% თვლის, რომ სიტუაცია დამაკმაყოფილებელია, 18%---შეცვლიდა სასწავლო პროცესს (დაამატებდა წრეებს, არ შემოიღებდა ინგლისური ენის სწავლებას I კლასში,V კლასიდან დაიწყებდა რუსული ენის სწავლებას, შეამცირებდა კლასებში

მოსწავლეთა რაოდენობას, უცხო ენების ეფექტური შესწავლის მიზნით გაყოფდა კლასებს და ა.შ.), ხოლო 1% თვლის, რომ ამით არაფერი შეიცვლება. ***მხოლოდ მშობელთა 18%-ს აქვს სურვილი, რომ სასწავლო პროცესი უფრო მოქნილი, დახვეწილი და მოსწავლეთა საჭიროებებს მორგებული იყოს.***



გამოკითხვამ ცხადყო,რომ მშობელთა დიდი უმრავლესობა--86%-- შვილს სახლში უქმნის სწავლისათვის ხელშემწყობ სრულყოფილ გარემოს, 10% შეძლებისდაგვარად უქმნის ხელსაყრელ პირობებს, 4%-მა ამ კითხვას თავი აარიდა. ***სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მიუხედავად მშობლების უმრავლესობა ცდილობს სახლში შვილს შეუქმნას სწავლისათვის ხელშემწყობი გარემო, თუმცა დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ გამოკითხულთა 4%-მა კითხვას არ უპასუხა.***



კვლევა შეეცადა გაერკვია, თუ რა დროს უთმობენ მშობლები შვილებთან ურთიერთობას. გამოკითხულთა 55% მთელ დღეს შვილთან ატარებს, 40% მხოლოდ საღამოს ხვდება, 1%-ს არ აქვს დრო სისტემატური ურთიერთობისათვის, 3%-მა კითხვას არ უპასუხა. ***სავარაუდოდ, მშობელთა 55%-ის მნიშვნელოვან ნაწილს დაწყებითი კლასების მშობლები შეადგენენ, ეს ის შემთხვევაა, როდესაც მშობლებს დრო აღარ რჩებათ შვილების სწავლასა და სკოლის ცხოვრებაში მონაწილეობისათვის.***



ცხადია, ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს არაერთგვაროვანი მოსაზრებები: მშობლების 31% ამბობს, რომ მეტი პასუხისმგებლობა ოჯახს ეკისრება, რადგან ბავშვი დროის უმეტეს ნაწილს ოჯახში ატარებს, 27% თვლის, რომ პასუხისმგებლობა მშობელსა და სკოლას

ერთნაირად ეკისრება, 17% მშობელს და მასწავლებელს ასახელებს, 15% მიიჩნევს, რომ პასუხისმგებელი მშობელია, 10%-ის აზრით კი,ახალგაზრდების აღზრდაში ოჯახი და გარემო თამაშობს დიდ როლს. ***მოსაზრებები სხვადასხვაგვარია, ოჯახი პასუხისმგებელია ბავშვის აღზრდაზე, თუმცა, უმნიშვნელოვანესი როლი აღნიშნულ საკითხში სკოლას აკისრია.***



კითხვაზე, რა უშლის მშობელს ხელს, აქტიურად იყოს ჩართული სასკოლო ცხოვრებაში, გამოკითხულთა ყველაზე დიდი პროცენტი--67%--- მიიჩნევს, რომ მათ დროის უქონლობა უშლით ხელს, 19% თვლის, რომ ამის მიზეზი ცხოვრების პირობებია, 4%-ს არაფერი უშლის ხელს, 1%-ს ხელს უშლის კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ნაკლებობა, 1% მიზეზად ასახელებს იმ ფაქტს, რომ კარისკაცი არ უშვებს სკოლაში, 3%-ს არ აქვს სურვილი მიიღოს მონაწილეობა სასწავლო პროცესში, აღნიშნულ კითხვას არ უპასუხა 5%-მა. ***მშობელთა უმრავლესობა სკოლის ცხოვრებაში მონაწილეობისათვის ხელისშემშლელ ფაქტორად დროის უქონლობასა და ცხოვრების არახელსაყრელ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს ასახელებს.***



რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ასევე საგულისხმო სურათი გამოვლინდა იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რამდენად ექნება გავლენა სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ინტენსიურ ჩართულობას მოსწავლის შედეგზე. მშობელთა 77%-ის შეფასებით, ეს ფაქტორი დადებით როლს ითამაშებს (მოსწავლე სწავლას მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდება), 14%-ის აზრით ნაწილობრივ მოახდენს გავლენას, 1% მიიჩნევს, რომ ამ ფაქტს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, კიდევ 1% საწინააღმდეგო აზრისაა და თვლის, რომ მშობელი არ უნდა ჩაერთოს სასკოლო ცხოვრებაში. კითხვას არ უპასუხა მშობელთა 5%-მა.

კერძოდ, მიღებული შედეგების საუძველზე უნდა ვივარაუდოთ, რომ მშობელთა დიდი ნაწილი დადებითად აფასებს სასკოლო ცხოვრებაში აქტიურ და ინტენსიურ ჩართულობას, მზადაა თანამშრომლობისათვის.



გამოკითხვის შედეგებიდან ჩანს, რომ მშობელთა 46% შეცვლიდა ურთიერთობის სტილს: იქნებოდა მკაცრი, მომთხოვნი, ობიექტური, მეგობრული, ბავშვების მიმართ მზრუნველი და მოსიყვარულე, ახლოს გაიცნობდა მოსწავლეების ოჯახურ მდგომარეობას, არ მიაყენებდა მათ შეურაცხყოფას და ა.შ., 28% არაფერს არ შეცვლიდა, 18%-ს ვერ წარმოუდგენია თავი მასწავლებლის ამპლუაში, 3%-ს ამ საკითხზე არ უფიქრია, ხოლო 5%-მა არ უპასუხა კითხვას. ***მშობელთა უმრავლესობა თვლის, რომ მასწავლებლების მოსწავლეებთან ურთიერთობა გადასახედია და მოითხოვს დახვეწას.***



გამოკითხვამ აჩვენა, რომ მშობელთა 81% შვილის ჩაცმულობასა და სასწავლო ნივთების ტარებას ყოველდღიურად აკონტროლებს,10%---ცდილობს შეძლებისდაგვარად გააკონტროლოს, 4%--არ აკონტროლებს, 1% აკონტროლებს, მაგრამ ხანდახან აღმოაჩენს რომ ყველაფერი მაინც ისე არაა, როგორც საჭიროა, 3% თვლის, რომ არ სჭირდება კონტროლი, 1%-მა კითხვას არ უპასუხა. ***აღმოჩნდა, რომ მშობლების უმრავლესობა აკონტროლებს შვილის ჩაცმულობას და სასწავლო ნივთების ტარებას, თუმცა, საკმაოდ ხშირად, მასწავლებლები სულ სხვა რეალობის წინაშე დგანან.***



ამ მეტად პრობლემატურ საკითხთან დაკავშირებით გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები: მშობელთა 42% ფიქრობს, რომ ამ ფაქტორს ხელს შეუწყობდა თანამშრომლობა (ღონისძიებები, კრებები, შეხვედრები და მსჯელობა სხვადასხვა თემებზე, ექსკურსიები, სკოლის მიერ დაგეგმილი აქტივობები, დირექტორის შეხვედრა მშობლებთან მათი პრობლემების გაცნობის მიზნით, საკლასო ღონისძიებები), 36%-ის აზრით, ამ ორი რგოლის დაახლოებას ხელს შეუწყობდა მასწავლებლისა და მშობლის ხშირი კონტაქტი, 1% დაახლოების აზრს ვერ ხედავს, მეორე 1% თვლის, რომ კონტაქტი საჭირო არ არის, 4%-ის აზრით, სკოლაში არ უნდა არსებობდეს განსაზღვრული დღეები მასწავლებელთან შეხვედრისათვის, კითხვა უპასუხოდ დატოვა გამოკითხულთა 15%-მა. ***თუ სკოლა მშობლისგან მოითხოვს, რომ ის დაინტერესებული იყოს შვილის სასკოლო ცხოვრებით, თავის მხრივ, მშობელიც მოითხოვს სკოლისგან მრავალფეროვან აქტივობებს, რაც უზრუნველყოფს მათ ეფექტურ მონაწილეობას სკოლის ცხოვრებაში.***



იცნობენ თუ არა შვილის ასაკობრივ თავისებურებებს მშობლები? გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა: 23% ფიქრობს, რომ იცნობს და აგვარებს პრობლემებს შეძლებისდაგვარად, 61% თვლის, რომ იცნობს, 6% არ დგას ასეთი პრობლემის წინაშე, 5% იცნობს და სურს მეტი სასარგებლო ინფორმაცია მიიღოს, 3%-ს უძნელდება ასაკობრივი თავისებურებების ამოცნობა, კითხვას არ უპასუხა 1%-მა. ***მშობელთა უმრავლესობა მეტ-ნაკლებად ერკვევა შვილის ასაკობრივ თავისებურებებში. მაგრამ ეს ცოდნა არ არის საკმარისი წამოჭრილი პრობლემების მოსაგვარებლად, მშობლები უნდა ფლობდნენ აუცილებელ აღმზრდელობით უნარ-ჩვევებს.***



კითხვაზე, ფლობენ თუ არა მშობლები შვილის აღზრდის მეთოდებს და იყენებენ თუ არა დასჯის ფორმებს, აღმოჩნდა, რომ მათი 46% არ იყენებს დასჯის მეთოდებს, ხოლო 10% იშვიათად

იყენებს, 6% საჭიროების შემთხვევაში იყენებს, 23% იყენებს აკრძალვის ფორმას (კომპიუტერთან დაჯდომა, ფეხბურთზე წასვლა, ეზოში ჩასვლა, ტონის აწევა, ხმის გაუცემლობა), 10% მხოლოდ საყვედურით შემოიფარგლება, 3%-მა კითხვას არ უპასუხა. ***მოსწავლეები, რომელთა მშობლებიც ჩართულები არიან სკოლის ცხოვრებაში, გაგებით ეკიდებიან საკუთარ შვილებს, ფლობენ ბავშვის აღზრდის მეთოდებს,უკეთესი ქცევით ხასიათდებიან. საჭიროა მშობლებთან მუშაობა იმ კუთხით, რომ მათ შვილებთან ჰქონდეთ ურთიერთნდობაზე და პატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობები.***

მშობლების ანკეტირებამ მოგვცა საშუალება განგვესაზღვრა მშობლების დამოკიდებულება შვილების, დამრიგებლის, პედაგოგებისა და ზოგადად სკოლის მიმართ, ასევე დაგვედგინა მათთვის უფრო კომფორტული კომუნიკაციის საშუალებები,
თუ რამდენად არიან მშობლები ინფორმირებულები საკუთარი შვილების სასკოლო ცხოვრების შესახებ და თუ ინფორმაციის მიღების როგორი ფორმაა მათთვის უფრო მისაღები და მოხერხებული.

კვლევის დასკვნები:

1. კვლევის შედეგები მიუთითებს მშობელთა სკოლაში გამოცხადების ინტენსივობის საშუალოზე დაბალ მაჩვენებელზე.

2. გამოკითხულთა 65% -ის დიდ ნაწილს დაწყებითი კლასის მოსწავლეთა მშობლები შეადგენენ, რაც იმ ფაქტზე მიუთითებს, რომ მშობლები აქტიურად და რეგულარულად არ დადიან სკოლაში შვილების აკადემიური მოსწრებისა და სასკოლო ცხოვრების კონტროლის მიზნით.
3. მშობელთა მხოლოდ 3%-ა შედარებით სრულად ჩართული სასკოლო ცხოვრებაში, რაც ძალიან დაბალი და ყურადსაღები მაჩვენებელია.

4. მშობელთა საკმაოდ დიდი ნაწილი ინდიფერენტულია სკოლაში მიმდინარე პროცესების მიმართ, ნაკლებად არის დაინტერესებული სკოლაში შექმნილი გარემოს გაუმჯობესებით, რაც მათი სკოლის ცხოვრებაში ნაკლებად ჩართულობაზე მეტყველებს.
5. კარგი იქნება, თუ მშობლები გაითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ, როდესაც მშობელი ჩართულია შვილის განათლების პროცესში, მოსწავლეს უფრო მაღალი აკადემიური მიღწევები და მეტი წარმატებები აქვს.
6. როგორც აღმოჩნდა, მშობლები ძირითადად დამრიგებლის მეშვეობით ეცნობიან შვილის აკადემიურ მოსწრებას, თუმცა, ბევრი მშობელი სხვადასხვა გზებით ახერხებს ინფორმაციის მიღებას. მშობელთა მხოლოდ 3% დადის საკუთარი ინიციატივით სკოლაში, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია.

7. გამოკითხულთა 75% -ის დიდ ნაწილს დაწყებითი კლასის მოსწავლეთა მშობლები შეადგენენ. როდესაც მშობელი გულისყურით ეკიდება შვილის სწავლა-განათლების საკითხს სწავლის ყველა ეტაპზე, უმჯობესდება ასეთი მოსწავლის აკადემიური მოსწრება და ცოდნის დონე.

8. გამოკითხულთა 1%-ის გარდა ყველა მშობელი მეტ-ნაკლებად აკონტროლებს შვილის მზაობას სკოლისათვის სხვადასხვა გზებითა და საშუალებებით. ეს ფაქტი პირდაპირ აისახება მოსწავლეზე მაღალი აკადემიური შეფასებებით, გაკვეთილებზე დასწრების მაჩვენებლით, შესრულებული საშინაო დავალებებით და ა.შ.

9. მშობელი, რომელიც აქტიურად არის ჩართული შვილის სასკოლო ცხოვრებაში, აქვს პოზიტიური დამოკიდებულება მასწავლებლების მიმართ, დროულად იღებს ინფორმაციას ბავშვის მდგომარეობის შესახებ და აგვარებს პრობლემას.

10. მშობლები აღნიშნულ ინფორმაციას იღებენ მასწავლებლებისაგან მშობელთა კრებებზე ან ინდივიდუალური შეხვედრების დროს, სკოლის ცხოვრებითა და საკუთარი შვილის სწავლა-განათლებით დაინტერესებული მშობელი უფრო მეტ ინფორმაციას მიიღებს, თუ გაეცნობა განათლების სამინისტროს საიტზე გამოქვეყნებულ ეროვნულ სასწავლო გეგმას.

11. თანამედროვე შეფასების სისტემა ძალიან მრავალფეროვანი და რთული ინსტრუმენტია, აქედან გამომდინარე, გამოკითხულთა 90%(დანარჩენ 10%-ზე რომ არაფერი ვთქვათ) საეჭვოა, მას სიღრმისეულად და სრულყოფილად იცნობდეს. გამოსავალი ისევ და ისევ მშობელსა და მასწავლებელს შორის მჭიდრო თანამშრომლობაა.

12. მხოლოდ მშობელთა 18%-ს აქვს სურვილი, რომ სასწავლო პროცესი უფრო მოქნილი, დახვეწილი და მოსწავლეთა საჭიროებებს მორგებული იყოს.

13. სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მიუხედავად მშობლების უმრავლესობა ცდილობს სახლში შვილს შეუქმნას სწავლისათვის ხელშემწყობი გარემო, თუმცა დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ გამოკითხულთა 4%-მა კითხვას არ უპასუხა.

14. სავარაუდოდ, მშობელთა 55%-ის მნიშვნელოვან ნაწილს დაწყებითი კლასების მშობლები შეადგენენ, ეს ის შემთხვევაა, როდესაც მშობლებს დრო აღარ რჩებათ შვილების სწავლასა და სკოლის ცხოვრებაში მონაწილეობისათვის.

15. მოსაზრებები სხვადასხვაგვარია, ოჯახი პასუხისმგებელია ბავშვის აღზრდაზე, თუმცა, უმნიშვნელოვანესი როლი აღნიშნულ საკითხში სკოლას აკისრია.

16. მშობელთა უმრავლესობა სკოლის ცხოვრებაში მონაწილეობისათვის ხელისშემშლელ ფაქტორად დროის უქონლობასა და ცხოვრების არახელსაყრელ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს ასახელებს.

17. კერძოდ, მიღებული შედეგების საუძველზე უნდა ვივარაუდოთ, რომ მშობელთა დიდი ნაწილი დადებითად აფასებს სასკოლო ცხოვრებაში აქტიურ და ინტენსიურ ჩართულობას, მზადაა თანამშრომლობისათვის.

18. მშობელთა უმრავლესობა თვლის, რომ მასწავლებლების მოსწავლეებთან ურთიერთობა გადასახედია და მოითხოვს დახვეწას.

19. აღმოჩნდა, რომ მშობლების უმრავლესობა აკონტროლებს შვილის ჩაცმულობას და სასწავლო ნივთების ტარებას, თუმცა, საკმაოდ ხშირად, მასწავლებლები სულ სხვა რეალობის წინაშე დგანან.

20. თუ სკოლა მშობლისგან მოითხოვს, რომ ის დაინტერესებული იყოს შვილის სასკოლო ცხოვრებით, თავის მხრივ, მშობელიც მოითხოვს სკოლისგან მრავალფეროვან აქტივობებს, რაც უზრუნველყოფს მათ ეფექტურ მონაწილეობას სკოლის ცხოვრებაში.

21. მშობელთა უმრავლესობა მეტ-ნაკლებად ერკვევა შვილის ასაკობრივ თავისებურებებში. მაგრამ ეს ცოდნა არ არის საკმარისი წამოჭრილი პრობლემების მოსაგვარებლად, მშობლები უნდა ფლობდნენ აუცილებელ აღმზრდელობით უნარ-ჩვევებს.

22. უკეთესი ქცევით ხასიათდებიან ის მოსწავლეები, რომელთა მშობლებიც ჩართულები არიან სკოლის ცხოვრებაში, გაგებით ეკიდებიან საკუთარ შვილებს, ფლობენ ბავშვის აღზრდის მეთოდებს. საჭიროა მშობლებთან მუშაობა იმ კუთხით, რომ მათ შვილებთან ჰქონდეთ ურთიერთნდობაზე და პატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობები.

რეკომენდაციები:

1. *კარგი იქნება, თუ მშობლები გაითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ, როდესაც მშობელი ჩართულია შვილის განათლების პროცესში, ადგილი აქვს ორმხრივ კომუნიკაციას სკოლასა და ოჯახს შორის, მოსწავლეს უფრო მაღალი აკადემიური მიღწევები და მეტი წარმატებები აქვს.*
2. *როდესაც მშობელი გულისყურით ეკიდება შვილის სწავლა-განათლების საკითხს <u>სწავლის ყველა ეტაპზე,</u> უმჯობესდება ასეთი მოსწავლის აკადემიური მოსწრება და ცოდნის დონე.*
3. *მშობელი, რომელიც აქტიურად არის ჩართული შვილის სასკოლო ცხოვრებაში, აქვს პოზიტიური დამოკიდებულება მასწავლებლების მიმართ, დროულად იღებს ინფორმაციას ბავშვის მდგომარეობის შესახებ და აგვარებს პრობლემას.*
4. *მშობლებმა კარგად არ იციან, რა მოთხოვნები აქვთ მათი შვილების მიმართ მასწავლებლებს ესგ-ის და საგნის სტანდარტიდან გამომდინარე. საჭიროა მეტი კომუნიკაცია სხვადასხვა საგნების მასწავლებლებთან. შვილის სწავლა-განათლებით დაინტერესებული მშობელი უფრო მეტ ინფორმაციას მიიღებს, თუ გაეცნობა განათლების სამინისტროს საიტზე გამოქვეყნებულ ეროვნულ სასწავლო გეგმას.*
5. *რადგან თანამედროვე შეფასების სისტემა ძალიან მრავალფეროვანი და რთული ინსტრუმენტია, მისი უკეთ გაცნობისა და გააზრების მიზნით*

საჭიროა გაიზარდოს მშობელსა და მასწავლებელს შორის თანამშრომლობა.

6. *რადგან უკეთესი ქცევით ხასიათდებიან ის მოსწავლეები, რომელთა მშობლებიც ჩართულები არიან სკოლის ცხოვრებაში, ფლობენ ბავშვის აღზრდის მეთოდებს. საჭიროა მშობლებთან მუშაობა იმ კუთხით, რომ მათ შვილებთან ჰქონდეთ ურთიერთნდობაზე და პატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობები. ამისათვის მშობლები უნდა ფლობდნენ აუცილებელ აღმზრდელობით უნარ-ჩვევებს.*
7. *რადგან ბევრი მშობელი არაკომპეტენტურია ბავშვის აღზრდის საკითხებში, სასურველია სკოლებში მოეწყოს ტრენინგები, კონფერენციები, შეხვედრები, საუბრები(რაც შეიძლება გათვალისწინებული იყოს სკოლის დაფინანსებაში), სადაც ისინი მოისმენენ კვალიფიციურ რჩევა-დარიგებას ბავშვის აღზრდის მეთოდებთან დაკავშირებით, გაეცნობიან ინფორმაციას მათი ასაკობრივი თავისებურებების შესახებ, უკეთ გაიაზრებენ საკუთარ უფლება-მოვალეობებს.*
8. *თუ სკოლა მშობლისგან მოითხოვს, რომ ის დაინტერესებული იყოს შვილის სასკოლო ცხოვრებით, თავის მხრივ, მშობელიც მოითხოვს სკოლისგან მრავალფეროვან ღონისძიებებსა და აქტივობებს, რაც უზრუნველყოფს მათ ეფექტურ მონაწილეობას სკოლის ცხოვრებაში. მით უმეტეს, რომ მშობელთა დიდი ნაწილი დადებითად აფასებს სასკოლო ცხოვრებაში აქტიურ და ინტენსიურ ჩართულობას, მზადაა თანამშრომლობისათვის.*
9. *რადგან მშობელთა უმრავლესობა თვლის, რომ მასწავლებლების მოსწავლეებთან ურთიერთობა გადასახედია და მოითხოვს დახვეწას, სასურველი იქნება თუ პედაგოგები საკუთარ პრაქტიკაში გაითვალისწინებენ და განახორციელებენ მშობელთა მოთხოვნებს შესაძლებლობის ფარგლებში.*
10. *მიუხედავად იმისა, რომ მშობლები დასაქმებულნი არიან და ცოტა დრო რჩებათ შვილის სასკოლო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის, მათ მაინც უნდა გამონახონ დრო ამისათვის, რადგან შვილის სწავლა-განათლება მათთვის პირველხარისხოვანი უნდა იყოს. მშობლებმა აქტიურად და რეგულარულად უნდა იარონ სკოლაში შვილების აკადემიური მოსწრებისა და სასკოლო ცხოვრების კონტროლის მიზნით.*
11. *სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მიუხედავად თითოეული მშობელი უნდა ცდილობდეს სახლში შვილს შეუქმნას სწავლისათვის ხელშემწყობი გარემო, შეძლებისდაგვარად უფრო მეტი დრო დაუთმოს შვილთან ურთიერთობას.*

12. *ვინაიდან სამეურვეო საბჭოების დანიშნულებას წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების ინტერესების ასახვა სკოლის სტრატეგიაში, ამ რგოლის წარმატებული მუშაობისათვის მნიშვნელოვანია მშობელი წევრების გააქტიურება, მათი მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდა.*

მოსწავლეთა ანკეტირება - V კლასი (გამოკითხულ მოსწავლეთა რაოდენობა---24)



საინტერესო იყო გამოკითხულთა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად სასიამოვნოა მათთვის, როდესაც მშობელი მონაწილეობს სკოლის ღონისძიებებში. 24 მოსწავლიდან საკმაოდ დიდი ნაწილი (70%) ამბობს, რომ სიამოვნებს, როდესაც მისი მშობელი მონაწილეობს ასეთ ღონისძიებებში, ხოლო მოსწავლეთა 30% ამ ფაქტს მნიშვნელობას არ ანიჭებს. ***აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მეხუთეკლასელთა შორის არ აღმოჩნდა ისეთი, ვისაც არ სიამოვნებს მშობლის მონაწილეობა სასკოლო ღონისძიებებში.***



გამოკითხულ მოსწავლეთა 84% ამბობს, რომ მასწავლებელი მშობელთან საუბრისას ყურადღებას ძირითადად აქცევს მის აკადემიურ მოსწრებას და დისციპლინარულ ქცევას, 8%-ის აზრით ყურადღება ექცევა მხოლოდ აკადემიურ მოსწრებას, ხოლო მეორე 8%-ის აზრით---დისციპლინარულ ქცევას. ***კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ მასწავლებელი მშობელთან საუბრისას ორივე საკითხზე (აკადემიური მოსწრება და დისციპლინარული ქცევა) ერთნაირად ამახვილებს ყურადღებას.***



კვლევის მონაწილეების 100% აცხადებს, რომ მშობელი პედაგოგთან საუბრის შემდეგ მას ესაუბრება. ***გამოკითხული მოსწავლეები (მე-5 კლასელები) ერთხმად აცხადებენ, რომ მშობელი დასჯის მეთოდებს არ მიმართავს.***



საუბრობენ თუ არა მეხუთეკლასელები სახლში სკოლისა და კლასის პრობლემებზე? გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი სურათი: 40% საუბრობს, 52% საუბრობს ზოგჯერ, 8% არ საუბრობს. ***შესაძლოა, მშობელთა გარკვეულ ნაწილს არ აქვს დრო ან არ აინტერესებს გაიგოს მისი შვილის კლასში და, ზოგადად,სკოლაში არსებული სიტუაცია.***



გამოკითხულ მოსწავლეთა 54% ხშირად ესაუბრება მშობელს იმ პრობლემაზე, რომელიც მას ყველაზე მეტად აწუხებს, 38% საკუთარ პრობლემაზე მშობელს ესაუბრება ზოგჯერ, 8% არ ესაუბრება. ***შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მაჩვენებელი მეტყველებს მშობელთა მნიშვნელოვანი ნაწილის გულგრილ დამოკიდებულებაზე საკუთარი შვილისა და მისი პრობლემების მიმართ.***

მოსწავლეთა ანკეტირება – IX კლასი

(მონაწილეთა რაოდენობა 21)



მეხუთეკლასელებისაგან განსხვავებით მეცხრეკლასელების შეხედულება აღნიშნული საკითხის მიმართ შემდეგნაირია: 52%–სათვის მნიშვნელობა არ აქვს, მისი მშობელი მონაწილეობას იღებს თუ არა სასკოლო ცხოვრებაში, 38% თვლის, რომ მისთვის სასიამოვნოა მშობლის ეს ქმედება, ხოლო 10% აფიქსირებს ამ ფაქტის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას. ***როგორც ჩანს, ასაკის მატებასთან ერთად მოზარდებში შეინიშნება გულგრილი დამოკიდებულება, იღებს თუ არა მონაწილეობას მშობელი სკოლის ღონისძიებებში, გარდა ამისა, შეინიშნება უარყოფითი დამოკიდებულება ამ ფაქტის მიმართ.***



მეცხრეკლასელთა 61% ამბობს, რომ მასწავლებელი მშობელთან საუბრისას ყურადღებას ამახვილებს დისციპლინაზე, მაშინ, როდესაც 30% აცხადებს, რომ ყურადღება ექცევა აკადემიურ მოსწრებას,მხოლოდ 9% აღნიშნავს, რომ ყურადღება ექცევა როგორც აკადემიურ მოსწრებას, ასევე დისციპლინარულ ქცევას.***თუ მიღებულ შედეგს დავეყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ამ ასაკის მოზარდებში დისციპლინის საკითხი ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა.***



გამოკითხულ მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა (90%) აცხადებს, რომ მშობელი პედაგოგთან საუბრის შემდეგ ესაუბრება, 5%-ს მშობელი სჯის, კიდევ მეორე 5%-ს მშობელი უკრძალავს სასიამოვნო საქმიანობას. ***შესაძლოა, მეცხრეკლასელები უფრო მეტად გულახდილნი***

არიან, ვიდრე მეხუთეკლასელები, ან ეს ფაქტი გამოწვეულია ასაკობრივი სირთულეებით. გამოკითხულთა 10% აცხადებს, რომ მშობელი მათ მიმართ იყენებს დასჯის სხვადასვა ფორმებს.



როგორც აღმოჩნდა, გამოკითხულთა უმეტესობა (ისევე, როგორც მეხუთეკლასელები--(52%) სახლში მხოლოდ ხანდახან საუბრობს სკოლისა და კლასის პრობლემებზე, 19% ხშირად საუბრობს, ხოლო29% არ საუბრობს.***თუ მეხუთეკლასელების გამოკითხვის მაჩვენებელს შევადარებთ, საგრძნობლად შემცირებულია იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომელიც ხშირად საუბრობს სახლში სკოლისა და კლასის პრობლემებზე, ხოლო გაზრდილია მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც არ საუბრობენ ამ საკითხზე.***



მეცხრეკლასელთა 29% საუბრობს საკუთარ პრობლემებზე მშობელთან, ამდენივე 29% არ საუბრობს, 42% კი საუბრობს ზოგჯერ. ***სამწუხაროა, რომ რესპოდენტთა დიდი რაოდენობა საუბრობს ზოგჯერ ან არ საუბრობს მშობელთან საკუთარ პრობლემებზე. მნიშვნელოვანი განსხვავებაა მეხუთეკლასელთა მონაცემებთან შედარებით.***



გამოკითხულთა საკმაოდ დიდი ნაწილის (67%) აზრით, მშობლებმა იშვიათად უნდა იარონ სკოლაში, 14% მიიჩნევს, რომ მათთვის სულ ერთია, როგორი სიხშირით ივლიან, მეორე 14% ამბობს, რომ ხშირად უნდა იარონ, 5% კი მიიჩნევს, რომ არ უნდა იარონ.

მეცხრეკლასელთათვის სასიამოვნო არ არის მათი მშობლების სკოლაში ვიზიტი (ჩართულობა სასკოლო ღონისძიებებში).



კვლევის შედეგად გამოვლინდა 2 ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება: მოსწავლეთა 62% აცხადებს, რომ მშობლებს მათი ესმით და, შესაბამისად, მათთან ურთიერთობაში ნაკლებ პრობლემებს ხვდებიან, ხოლო ***38% (საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია!) თვლის, რომ მშობლებს მათი არ ესმით, აქედან გამომდინარე, პრობლემებიც ბევრია.***

მოსწავლეთა ანკეტირება – X კლასი

(გამოკითხვაში მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა 23)



რესპოდენტთა დიდი ნაწილი (71%) თვლის, რომ მისთვის სულ ერთია მონაწილეობს თუ არა მისი მშობელი სკოლის ღონისძიებაში, 22%-ს სიამოვნებს მშობლის ასეთი ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში, ხოლო 7% სრულიად საწინააღმდეგი აზრისაა და არ სიამოვნებს მშობლის ასეთი საქმიანობა. ***ასაკის მატებასთან ერთად სულ უფრო მცირდება იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებსაც სიამოვნებთ, როცა მშობელი მონაწილეობს სასკოლო ღონისძიებებში. ეს არის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი მშობელთა ჩართულობის ნაკლებობისა სასკოლო ღონისძიებებში. ასეთი ტენდენცია შეინიშნება მაღალი კლასის მოსწავლეებში.***



როგორც გაირკვა, გამოკითხულ მეათეკლასელთა 78%-ის განცხადებით მშობლებთან საუბრისას მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს აკადემიურ მოსწრებასა და დისციპლინურ ქცევაზე, 13% ამბობს, რომ ყურადღება ექცევა აკადემიურ მოსწრებას, 9%---დისციპლინას. ***ისევე როგორც მეხუთეკლასელთა, მეათეკლასელთა შემთხვევაშიც მასწავლებელი მშობელთან საუბრისას ორივე ასპექტზე (აკადემიური მოსწრება და დისციპლინური ქცევა) ამახვილებს ყურადღებას.***



როგორც აღმოჩნდა, გამოკითხულ მეათეკლასელთაგან მშობელი არავის არ სჯის პედაგოგებთან საუბრის შემდეგ, მხოლოდ 9% აცხადებს, რომ მშობელი მას უკრძალავს მისთვის სასიამოვნო საქმიანობას, მშობელთა უმრავლესობა 91% შვილებთან საუბრით შემოიფარგლება. ***როგორც ჩანს, მშობელი გაგებით ეკიდება შვილს და ნაკლებად მკაცრია მის მიმართ.***



როგორც გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა, კვლევის მონაწილეთა 66% იშვიათად საუბრობს სახლში სკოლისა და კლასის პრობლემებზე, 17% საერთოდ არ საუბრობს, და მხოლოდ

დარჩენილი 17% საუბრობს ამ საკითხზე.***ამ მონაცემებით (მეხუთე- და მეცხრეკლასელთა მონაცემებს თუ შევადარებთ) კიდევ უფრო შემცირებულია იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც საუბრობენ სასკოლო საკითხებზე და პრობლემებზე სახლში.***



კვლევის მონაწილეების 57% აცხადებს, რომ მშობლებს იშვიათად (ზოგჯერ) ესაუბრებიან იმ საკითხებზე და პრობლემებზე, რომელიც ყველაზე მეტად აწუხებთ, მაშინ, როცა 13% საერთოდ არ საუბრობს მშობლებთან ამ თემაზე, ხოლო 30% აცხადებს, რომ საუბრობს საკუთარ პრობლემებზე მშობლებთან. ***მეათეკლასელთა დიდი ნაწილი ნაკლებად არის გულახდილი მშობლებთან, თამამად ვერ საუბრობს მათთან საკუთარ პრობლემებზე და ცდილობს თვითონ მოაგვაროს საკითხი, რომელიც აწუხებს.***



როგორც კვლევის შედეგები აჩვენებს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოსწავლეების 57% აცხადებს, რომ მშობლებმა სკოლაში უნდა იარონ იშვიათად, 30% ამბობს, რომ მათ ხშირად უნდა იარონ სკოლაში, ხოლო 13% მიიჩნევს, რომ მათთვის სულ ერთია რა სიხშირით ივლიან მშობლები სკოლაში. ***მოსწავლეების უმეტესობა ფიქრობს, რომ მშობლებმა სკოლაში იშვიათად უნდა იარონ.***



კითხვაზე, თუ რა პრობლემებს ხვდებიან მეათეკლასელები მშობლებთან ურთიერთობაში, ესმით თუ არა მშობლებს მათი, გამოკითხულთა 66% პასუხობს, რომ მშობლებს მათი არ ესმით, ხოლო 39% აცხადებს, რომ მათ მშობლებთან ურთიერთობაში პრობლემები არ აქვთ და მათ კარგად

ესმით შვილების. ***ასაკის მატებასთან ერთად მოზარდები მშობლებისგან უფრო მეტად დამოუკიდებელნი და თავდაჯერებულნი ხდებიან და ცდილობენ თვითონ გადაწყვიტონ საკუთარი პრობლემები, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა მშობლებს მათი არ ესმით.***

მოსწავლეთა ანკეტირება - V, IX, X, კლასები

1 დან 5 კითხვის ჩათვლით მონაწილეთა რაოდენობაა 68, ხოლო მე-6, მე-7 კითხვაზე მონაწილეობდა მხოლოდ IX, X კლასების 44 მოსწავლე



გამოკითხული 68 მოსწავლიდან თითქმის ნახევარი (44%) თვლის, რომ სიამოვნებს, როცა მშობელი მონაწილეობს სასკოლო ცხოვრებაში, 6% კი, პირიქით, აცხადებს, რომ არ სიამოვნებს მშობლის ჩართვა სასკოლო ცხოვრებაში, ხოლო 50%-თვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს, მიიღებს თუ არა მისი მშობელი სასკოლო ღონისძიებებში მონაწილეობას. ***აღნიშნულ საკითხზე გამოკითხულთა 44%-ის უმეტეს ნაწილს, რომლებსაც მოსწონთ მშობლის***

მონაწილეობა სკოლის ცხოვრებაში, მეხუთეკლასელები შეადგენენ, თუმცა მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი (50%) ამ ფაქტს არსებით მნიშვნელობას არ ანიჭებს.



გამოკითხულთა დიდი ნაწილი (82%) აღნიშნავს, რომ მასწავლებელი მშობელთან საუბრისას უფრო მეტ ყურადღებას უთმობს აკადემიურ მოსწრებასა და დისციპლინას, 9% აცხადებს, რომ მეტი ყურადღება ეთმობა აკადემიურ მოსწრებას, დარჩენილი 9% ამბობს, რომ აქცენტი დისციპლინურ ქცევაზე კეთდება. ***სწავლების სამივე საფეხურზე აკადემიურ მოსწრებასა და დისციპლინას თანაბარი ყურადღება ექცევა.***



გამოიკვეთა ტენდენცია, რომ სწავლების სამივე საფეხურზე მშობელი პედაგოგებთან საუბრის შემდეგ შვილთან ურთიერთობაში ნაკლებად იყენებს დასჯის მეთოდებს(1%) და ამ უკანასკნელთან ძირითადად საუბრით შემოიფარგლება (94%), მშობელთა 5% შვილს უკრძალავს მისთვის სასიამოვნო საქმიანობას.



საუბრობენ თუ არა მოსწავლეები სახლში სკოლისა და კლასის პრობლემებზე?

გამოკითხვის შედეგად ცხადი გახდა, რომ სამივე საფეხურის მოსწავლეთა 57% ზოგჯერ საუბრობს სასკოლო პრობლემებზე სახლში, 25% საუბრობს, ხოლო 18% არ საუბრობს. ***მოსწავლეები მშობლებთან ყოველთვის არ საუბრობენ სკოლისა და კლასის პრობლემებზე.***



რამდენად გახსნილები არიან მოსწავლეები მშობლებთან, ესაუბრებიან თუ არა მათ იმ პრობლემებზე, რომლებიც მათ აწუხებთ? აღმოჩნდა, რომ 68 მოსწავლიდან 38% პროცენტი ესაუბრება მშობელს საკუთარ პრობლემებზე, ხოლო 16% ამის საჭიროებას ვერ ხედავს, მოსწავლეთა უმეტესობა (46%) კი თავის პრობლემებზე საუბრობს ზოგჯერ. ***მოსწავლეთა დიდი ნაწილი არ არის გულახდილი მშობლებთან და ვერ საუბრობს იმ თემაზე ან პრობლემაზე, რომელიც მას აწუხებს.***



აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოსწავლეების 61% აცხადებს, რომ მშობლებმა სკოლაში უნდა იარონ იშვიათად, 23% ამბობს, რომ მათ ხშირად უნდა იარონ სკოლაში, 14% მიიჩნევს,

რომ მათთვის სულ ერთია რა სიხშირით ივლიან მშობლები სკოლაში, 2% აზრით კი მშობლებმა საერთოდ არ უნდა იარონ სკოლაში. ***საშუალო მონაცემებით, მოსწავლეები ფიქრობენ, რომ მშობლებმა სკოლაში იშვიათად უნდა იარონ; გამოიკვეთა მოსწავლეთა ის კატეგორია(2%), რომელიც ფიქრობს, რომ მათ საერთოდ არ უნდა იარონ სკოლაში.***



კითხვაზე, თუ რა პრობლემებს ხვდებიან მოსწავლეები მშობლებთან ურთიერთობაში, ესმით თუ არა მშობლებს მათი, გამოკითხულთა 61% პასუხობს, რომ მშობლებს მათი არ ესმით, ხოლო 39% აცხადებს, რომ მათ მშობლებთან ურთიერთობაში პრობლემები არ აქვთ და, შესაბამისად, კარგად ესმით შვილების. ***სამწუხაროდ, ძალიან ბევრ მშობელს უჭირთ საერთო ენის გამონახვა შვილთან.***

მოსწავლეთა ანკეტირება -V კლასი (გამოკითხულ მოსწავლეთა რაოდენობა---24)

დასკვნები:

1. *აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მეხუთეკლასელთა შორის არ აღმოჩნდა ისეთი, ვისაც არ სიამოვნებს მშობლის მონაწილეობა სასკოლო ღონისძიებებში.*
2. *კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ მასწავლებელი მშობელთან საუბრისას ორივე საკითხზე (აკადემიური მოსწრება და დისციპლინარული ქცევა) ერთნაირად ამახვილებს ყურადღებას.*
3. *გამოკითხული მოსწავლეები (მე-5 კლასელები) ერთხმად აცხადებენ, რომ მშობელი დასჯის მეთოდებს არ მიმართავს.*
4. *შესაძლოა, მშობელთა გარკვეულ ნაწილს არ აქვს დრო ან არ აინტერესებს გაიგოს მისი შვილის კლასში და, ზოგადად,სკოლაში არსებული სიტუაცია.*
5. *შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მაჩვენებელი მეტყველებს მშობელთა მნიშვნელოვანი ნაწილის გულგრილ დამოკიდებულებაზე საკუთარი შვილისა და მისი პრობლემების მიმართ.*

მოსწავლეთა ანკეტირება - IX კლასი (მონაწილეთა რაოდენობა 21)

დასკვნები:

1. *როგორც ჩანს, ასაკის მატებასთან ერთად მოზარდებში შეინიშნება გულგრილი და, მეტიც, უარყოფითი დამოკიდებულება იმის მიმართ, იღებს თუ არა მონაწილეობას მშობელი სკოლის ღონისძიებებში.*
2. *თუ მიღებულ შედეგს დავეყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ამ ასაკის მოზარდებში დისციპლინის საკითხი ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა.*
3. *შესაძლოა, მეცხრეკლასელები უფრო მეტად გულახდილნი არიან, ვიდრე მეხუთეკლასელები, ან ეს ფაქტი გამოწვეულია ასაკობრივი სირთულეებით. გამოკითხულთა 10% აცხადებს, რომ მშობელი მათ მიმართ იყენებს დასჯის სხვადასვა ფორმებს.*
4. *თუ მეხუთეკლასელების გამოკითხვის მაჩვენებელს შევადარებთ, საგრძნობლად შემცირებულია იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომელიც ხშირად საუბრობს სახლში სკოლისა და კლასის პრობლემებზე, ხოლო გაზრდილია იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც არ საუბრობენ ამ საკითხზე.*
5. *სამწუხარია, რომ რესპოდენტთა დიდი რაოდენობა საუბრობს ზოგჯერ ან საერთოდ არ საუბრობს მშობელთან საკუთარ პრობლემებზე. მნიშვნელოვანი განსხვავებაა მეხუთეკლასელთა მონაცემებთან შედარებით.*
6. *მეცხრეკლასელთათვის სასიამოვნო არ არის მათი მშობლების სკოლაში ვიზიტი (ჩართულობა სასკოლო ღონისძიებებში).*

7. *გამოკითხულთა 38% (საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია!) თვლის, რომ მშობლებს მათი არ ესმით, აქედან გამომდინარე, პრობლემებიც ბევრია.*

მოსწავლეთა ანკეტირება – X კლასი

(გამოკითხვაში მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა 23)

დასკვნები:

1. *ასაკის მატებასთან ერთად სულ უფრო მცირდება იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებსაც სიამოვნებთ, როცა მშობელი მონაწილეობს სასკოლო ღონისძიებებში. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი მშობელთა ჩართულობის ნაკლებობისა სასკოლო ღონისძიებებში. ასეთი ტენდენცია შეინიშნება მაღალი კლასის მოსწავლეებში.*
2. *ისევე როგორც მეხუთეკლასელთა, მეათეკლასელთა შემთხვევაშიც მასწავლებელი მშობელთან საუბრისას ორივე ასპექტზე (აკადემიური მოსწრება და დისციპლინური ქცევა) ამახვილებს ყურადღებას.*
3. *როგორც ჩანს, მშობელი გაგებით ეკიდება შვილს და ნაკლებად მკაცრია მის მიმართ.*
4. *ამ მონაცემებით (მეხუთე- და მეცხრეკლასელთა მონაცემებს თუ შევადარებთ) კიდევ უფრო შემცირებულია იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც საუბრობენ სასკოლო საკითხებზე და პრობლემებზე სახლში.*
5. *მეათეკლასელთა დიდი ნაწილი ნაკლებად არის გულახდილი მშობლებთან, თამამად ვერ საუბრობს მათთან საკუთარ პრობლემებზე და ცდილობს თვითონ მოაგვაროს საკითხი, რომელიც აწუხებს.*
6. *მოსწავლეების უმეტესობა ფიქრობს, რომ მშობლებმა სკოლაში იშვიათად უნდა იარონ.*
7. *ასაკის მატებასთან ერთად მოზარდები მშობლებისგან უფრო მეტად დამოუკიდებელნი და თავდაჯერებულნი ხდებიან და ცდილობენ თვითონ გადაწყვიტონ საკუთარი პრობლემები, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა მშობლებს მათი არ ესმით.*

მოსწავლეთა ანკეტირება V, IX, X, კლასები

1 დან 5 კითხვის ჩათვლით მონაწილეთა რაოდენობაა 68, ხოლო მე-6, მე-7 კითხვაზე მონაწილეობდა მხოლოდ IX, X კლასების 44 მოსწავლე

დასკვნები:

1. *აღნიშნულ საკითხზე გამოკითხულთა 44%-ის უმეტეს ნაწილს, რომლებსაც მოსწონთ მშობლის მონაწილეობა სკოლის ცხოვრებაში, მეხუთეკლასელები შეადგენენ, თუმცა მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი (50%) ამ ფაქტს არსებით მნიშვნელობას არ ანიჭებს.*
2. *სწავლების სამივე საფეხურზე აკადემიურ მოსწრებასა და დისციპლინას თანაბარი ყურადღება ექცევა.*
3. *გამოიკვეთა ტენდენცია, რომ სწავლების სამივე საფეხურზე მშობელი პედაგოგებთან საუბრის შემდეგ შვილთან ურთიერთობაში ნაკლებად იყენებს დასჯის მეთოდებს.*
4. *მოსწავლეები მშობლებთან ყოველთვის არ საუბრობენ სკოლისა და კლასის პრობლემებზე.*
5. *მოსწავლეთა დიდი ნაწილი არ არის გულახდილი მშობლებთან და ვერ საუბრობს იმ თემაზე ან პრობლემაზე, რომელიც მას აწუხებს.*
6. *საშუალო მონაცემებით, მოსწავლეები ფიქრობენ, რომ მშობლებმა სკოლაში იშვიათად უნდა იარონ; გამოიკვეთა მოსწავლეთა ის კატეგორია(2%), რომელიც ფიქრობს, რომ მათ საერთოდ არ უნდა იარონ სკოლაში.*
7. *სამწუხაროდ, ძალიან ბევრ მშობელს უჭირთ საერთო ენის გამონახვა შვილთან.*

რეკომენდაციები:

1. *რადგანაც ასაკის მატებასთან ერთად მოზარდებს სულ უფრო მეტად არ სიამოვნებთ ან გულგრილნი ხდებიან იმ ფაქტის მიმართ, რომ მათი მშობლები მონაწილეობას იღებენ სასკოლო ღონისძიებებში, საჭიროა მაღალი კლასების ხელმძღვანელებმა ჩაატარონ კლასის საათი აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, აუხსნან მოსწავლეებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს*

მშობლის ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში მათივე კეთილდღეობისათვის.

2. *რადგან უკეთესი ქცევით ხასიათდებიან ის მოსწავლეები, რომელთა მშობლებიც ჩართულები არიან სკოლის ცხოვრებაში, ფლობენ ბავშვის აღზრდის მეთოდებს, ასევე უფროსკლასელთა დიდი რაოდენობა საუბრობს ზოგჯერ ან საერთოდ არ საუბრობს მშობელთან საკუთარ პრობლემებზე და თვლის, რომ მშობლებს მათი არ ესმით, აქედან გამომდინარე, ბევრი მშობელი არაკომპეტენტურია ბავშვის აღზრდის საკითხებში, ამისათვის სასურველია სკოლებში მოეწყოს ტრენინგები, კონფერენციები, შეხვედრები, საუბრები(რაც შეიძლება გათვალისწინებული იყოს სკოლის დაფინანსებაში), სადაც მშობლები მოისმენენ კვალიფიციურ რჩევა-დარიგებას ბავშვის აღზრდის მეთოდებთან დაკავშირებით, გაეცნობიან ინფორმაციას მათი ასაკობრივი თავისებურებების შესახებ, უკეთ გაიაზრებენ საკუთარ უფლება-მოვალეობებს.*

თვისობრივი კვლევის შედეგები - ფოკუს-ჯგუფები პედაგოგებთან

კვლევის თვისობრივი მეთოდებიდან გამოყენებული იქნა ე.წ. ფოკუს-ჯგუფის ტექნიკა, რომელიც გულისხმობს წინასწარ შემუშავებული საკითხების ჯგუფურ განხილვას. საკითხების შერჩევა მოხდა კვლევის განმახორციელებელი ჯგუფის მიერ.

თვისობრივმა კვლევამ საშუალება მოგვცა სიღრმისეულად შეგვესწავლა საკვლევი საგანი, გამოგვევლინა რესპონდენტების დამოკიდებულება აღნიშნული პრობლემისადმი, მათი განწყობები და შეფასებები, დაგვენახა საკვლევი საკითხი ახალი თვალით. ფოკუს-ჯგუფის შედეგად მიღებულმა თვისობრივმა ინფორმაციამ გაამდიდრა და სანდო გახადა რაოდენობრივი კვლევის შედეგები. ***ფოკუს-ჯგუფის მიზანი იყო მიგვეღო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მოსაზრებები აქვთ პედაგოგებს სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის თაობაზე, რა უშლით მათ ხელს აქტიურად მონაწილეობდნენ სკოლის ცხოვრებაში.***

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის 6 პედაგოგმა (მე-5 კლასებში შემსვლელი 2 პედაგოგი, მე-9 კლასებში შემსვლელი 2 პედაგოგი და მე-10 კლასებში შემსვლელი 2 პედაგოგი).

პედაგოგების ფოკუს-ჯგუფისათვის შედგენილი ინსტრუმენტარი 5 კითხვისაგან შედგებოდა:

1. რა სიხშირით ხვდებით მშობელს?
2. როგორ ფიქრობთ, იცნობენ თუ არა მშობლები თქვენი საგნის სტანდარტსა და შეფასების კრიტერიუმებს?

3. საუბრის დროს, ჩანს თუ არა, რომ მშობელმა იცის შვილის ასაკობრივი თავისებურება?
4. მშობლებთან რომელ თემაზე საუბრისას აწყდებით მეტ სირთულეს – აკადემიურ მოსწრებასა თუ დისციპლინარულ გადაცდომაზე?
5. თქვენი აზრით, რა უშლის ხელს მშობელს, აქტიურად ჩაერთოს სკოლის ცხოვრებაში?

პედაგოგები	I კითხვა	II კითხვა	III კითხვა	IV კითხვა	V კითხვა
V კლასი	ყოველ კვირას, საჭიროების შემთხვევაში უფრო ხშირად.	მშობ.კრებაზე აცნობს მშობლებს საგნის სტანდარტს და შეფას.კრიტერიუმებს.	ნაკლებად იცნობენ შვილის ასაკობრივ თავისებურებებს	დაბალ კლასებში აკადემიური მოსწრებისას, რადგან უჭირთ შეფას.სისტემაზე გადასვლა	სოციალური პირობები
V კლასი	ყოველ კვირას, საჭიროების შემთხვევაში უფრო ხშირად.	ნაწილობრივ.შეხვედრის დროს უხსნის საგნის სტანდარტსა და შეფ.კრიტერიუმებს	ნაწილობრივ.შვილის საქციელს ამართლებენ სხვადასხვა კუთხით.	თანაბრად.დაწყებით კლასებში უფრო აკადემ. მოსწრებაზეა საუბარი,მაღალ კლასებში-პირიქით.	დროის უქონლობა,მოუცლელობა. თუ მშობელს სურს შვილი გააკონტროლოს, ამის დროს ყოველთვის გამონახავს
IX კლასი	ყოველ პარასკევს, ასევე ვხვდები ინდივიდუალურად და მშობელთა კრებებზე სემესტრში ორჯერ.	მშობელი იცნობს მათემატიკის საგნის სტანდარტსა და შეფას.კრიტერიუმებს	მეტ-ნაკლებად	მშობელთა უმეტესობა დაინტერესებულია მათი შვილების მაღალი აკად.მოსწრებით	ეკონომიური მდგომარეობა და ოჯახური სიტუაცია
IX კლასი	იშვიათად. ძირითადად, ვხვდები ერთი და იმავე ბავშვების მშობლებს.	ფიქრობს, რომ არ იცნობენ და არც სურვილი აქვთ, რომ იცნობდნენ	მშობელმა, ძირითადად, არ იცის შვილის ასაკობრივი თავისებურებების შესახებ	დისც.გადაცდომა არ აინტერესებთ. მათთვის აქტუალურია აკად.მოსწრება, ნიშანი და არა ცოდნა	სოციალური პირობები; მშობელი ზედაპირულად უყურებს სწავლა-აღზრდის პრობლემას და არ დაინტერესდება მანამ,სანამ მოსწავლეს კლასიდან კლასში გადასვლის პრობლემა არ შეექმნება

X კლასი	კვირის ბოლოს,პარას კევს.	იცნობენ, რადგან ხშირად ესწრება მშობელთა კრებას	ნაწილობრივ	მეტ სირთულეს – დისციპლინარულ გადაცდომაზე, რაც იწვევს აკადემიური მოსწრების დაბალ შედეგს	სოციალური პრობლემები; დროის მენეჯმენტი; თუ არ იმუშავა, შვილს ვერ მოუწესრიგებს პრობლემებს. უმუშევარი მშობლის შვილი ხშირად აცდენს გაკვეთილებს, აწუხებს ყოფითი პრობლემები.
X კლასი	ორ კვირაში ერთხელ	იცნობენ	მშობელთა ნაწილი არ იცნობს შვილის ასაკობრივ თავისებურებებს	დისც.გადაცდომა მშობლებს არ აინტერესებთ, მხოლოდ აკადემიურ მოსწრებაზე სურთ საუბარი	დროის უქონლობა, ამბობენ, რომ ლუკმა-პურისათვის იბრძვიან და შვილებისათვის დრო არ რჩებათ

1) კითხვაზე, თუ რა სიხშირით ხვდებიან მშობლებს, V კლასის პედაგოგები პასუხობენ, რომ ისინი ყოველ კვირას ხვდებიან მათ და საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხშირადაც. IX კლასების პედაგოგები მშობლებს ხვდებიან ასევე ყოველ პარასკევს, ხვდებიან ინდივიდუალურადაც, მაგრამ, ძირითადად, ერთი და იმავე მოსწავლეების მშობლებს, დანარჩენი ბავშვების მშობლებს – იშვიათად. რაც შეეხება X კლსის მასწავლებლებს, ისინი ყოველ პარასკევს, ან 2 კვირაში ერთხელ ხვდებიან მშობლებს. ***როგორც ვხედავთ, უფროსკლასელთა მშობლები ნაკლები ინტენსივობით დადიან სკოლაში შვილის სასკოლო ცხოვრების გასაცნობად. ძირითადად, ეს ერთი და იმავე ბავშვების მშობლები არიან. დანარჩენი მშობლები კი ამ აქტივობისადმი გულგრილ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ.***

2) ***იცნობენ თუ არა მშობლები თქვენი საგნის სტანდარტსა და შეფასების კრიტერიუმებს?*** აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით V კლასის მასწავლებლები აცხადებენ, რომ მშობლები ნაწილობრივ იცნობენ მათი საგნის სტანდარტსა და შეფასების კრიტერიუმებს, ისინი ამ საკითხზე საუბრობენ მშობელთა კრებებზე და ინდივიდუალურ შეხვედრებზე. IX კლასის მათემატიკის პედაგოგი ამბობს, რომ მშობლები გარკვეულნი არიან ზემოთ ხსენებულ საკითხებში, ხოლო მეორე პედაგოგი აცხადებს, რომ მშობლები არ იცნობენ და არც სურვილი აქვთ გაიგონ ამის შესახებ რაიმე. X კლასის პედაგოგები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მშობლები იცნობენ სტანდარტსაც და შეფასების კრიტერიუმებსაც. ***როგორც ვხედავთ, შეფასებები არაერთგვაროვანია და დამოკიდებულია იმაზე, ხვდებიან თუ არა საგნის მასწავლებლები და მშობლები ერთმანეთს, არის თუ არა მათ შორის კომუნიკაცია და რა სიხშირით.***

3) იმასთან დაკავშირებით, იცნობენ თუ არა მშობლები შვილის ასაკობრივ თავისებურებებს, ყველა პედაგოგი ერთხმად აცხადებს, რომ მშობელთა ერთი ნაწილი არ იცნობს, ხოლო მეორე ნაწილი

იცნობს ზედაპირულად, მეტ-ნაკლებად, ზოგიერთი მშობელი კი შვილის საქციელს ამართლებს სხვადასხვა კუთხით. ***შეიძლება დავასკვნათ, რომ მშობლები არ იცნობენ და არ არიან დაინტერესებულნი იცნობდნენ ბავშვთა აღზრდის მეთოდებს, არ ფლობენ აღმზრდელობით უნარ-ჩვევებს.***

4) მშობლებთან რომელ თემაზე საუბრისას აწყდებით მეტ სირთულეს - აკადემიურ მოსწრებასა თუ დისციპლინარულ გადაცდომაზე? მასწავლებლები აცხადებენ, რომ მშობლები, როგორც წესი, აკადემიურ მოსწრებაზე საუბრობენ და ნაკლებად აინტერესებთ დისციპლინა, თუმცა X კლასის ერთ-ერთი პედაგოგის განცხადებით, მეტ სირთულეს აწყდება დისციპლინარულ გადაცდომაზე საუბრისას. ***შეიძლება ითქვას, რომ მშობლებს მხოლოდ აკადემიური მოსწრება აინტერესებთ, ნიშანი და არა მყარი, საფუძვლიანი ცოდნა.***

5) და ბოლოს, კითხვაზე, თუ რა უშლით ხელს მშობლებს აქტიურად ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში, მასწავლებლები ამბობენ, რომ ***მათ ხელს უშლის: სოციალური პირობები, დროის უქონლობა,მოუცლელობა, ეკონომიური მდგომარეობა, ოჯახური სიტუაცია, შვილის სწავლა-აღზრდისადმი გულგრილი დამოკიდებულება, საკუთარი უფლება-მოვალეობების გაუაზრებლობა, განათლების რეფორმის არცოდნა.***

დასკვნები:

1) ***როგორც ვხედავთ, უფროსკლასელთა მშობლები ნაკლები ინტენსივობით დადიან სკოლაში შვილის სასკოლო ცხოვრების გასაცნობად. ძირითადად, ეს ერთი და იმავე ბავშვების მშობლები არიან. დანარჩენი მშობლები კი ამ აქტივობისადმი გულგრილ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ.***
2) ***იცნობენ თუ არა მშობლები თქვენი საგნის სტანდარტსა და შეფასების კრიტერიუმებს? შეფასებები არაერთგვაროვანია და დამოკიდებულია იმაზე, ხვდებიან თუ არა საგნის მასწავლებლები და მშობლები ერთმანეთს, არის თუ არა მათ შორის კომუნიკაცია და რა სიხშირით.***
3) ***შეიძლება დავასკვნათ, რომ მშობლები არ იცნობენ და არ არიან დაინტერესებულნი იცნობდნენ ბავშვთა აღზრდის მეთოდებს, არ ფლობენ აღმზრდელობით უნარ-ჩვევებს.***
4) ***შეიძლება ითქვას, რომ მშობლებს მხოლოდ აკადემიური მოსწრება აინტერესებთ, ნიშანი და არა მყარი, საფუძვლიანი ცოდნა.***
5) ***მათ ხელს უშლის: სოციალური პირობები, დროის უქონლობა,მოუცლელობა, ეკონომიური მდგომარეობა, ოჯახური სიტუაცია, შვილის სწავლა-აღზრდისადმი გულგრილი დამოკიდებულება, საკუთარი უფლება-მოვალეობების გაუაზრებლობა, განათლების რეფორმის არცოდნა.***

რეკომენდაციები:

1. ***რაც უფრო ხშირი იქნება კომუნიკაცია და თანამშრომლობა მშობელსა და მასწავლებლებს, ოჯახსა და სკოლას შორის, მით უფრო მეტი მიღწევები და მაღალი აკადემიური შეფასებები ექნებათ მოსწავლეებს, ისინი უფრო დადებითად**

იქნებიან განწყობილნი სკოლის მიმართ, ექნებათ უკეთესი ქცევა, კარგი ურთიერთობები მასწავლებლებთან და ოჯახის წევრებთან.

2. *საჭიროა მშობელთა პედაგოგიური კულტურის ასამაღლებლად სკოლაში ჩატარდეს კონფერენციები, დისკუსიები, შეხვედრები, ლექციები, ტრენინგები, სადაც მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები, მოწვეული ექსპერტები. მშობლები შეიძენენ აუცილებელ აღმზრდელობით უნარ-ჩვევებს, მიიღებენ ინფორმაციას ასაკობრივი პრობლემების, პედაგოგიური მიდგომებისა და მეთოდების შესახებ.*
3. *სკოლაში უნდა დაიგეგმოს მრავალფეროვანი ღონისძიებები, რათა მოსწავლეებს, მშობლებსა და საზოგადოებას შესაძლებლობა მიეცეთ მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და თავიანთი წვლილი შეიტანონ სკოლის განვითარებაში.*